

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №196**

2017 წლის 25 მაისი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №181 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2016, №190020020.35.160.016392) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მაღლაკელიძე

დანართი

**თავი I**

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**

**მუხლი 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |                      |                    |
|-------------------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------------|--------------------|
|                         |                 |                 | სულ             | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემოსავლები             | 43,701.2        | 38,695.1        | 36,633.5        | 29,655.5             | 6,978.0            |
| გადასახადები            | 14,854.4        | 14,451.4        | 13,900.0        | 13,900.0             | 0.0                |
| გრანტები                | 24,003.0        | 19,373.6        | 18,308.5        | 11,330.5             | 6,978.0            |
| სხვა შემოსავლები        | 4,843.8         | 4,870.1         | 4,425.0         | 4,425.0              | 0.0                |
| <b>ხარჯები</b>          | <b>31,171.1</b> | <b>32,138.7</b> | <b>30,722.8</b> | <b>28,914.8</b>      | <b>1,808.1</b>     |
| შრომის ანაზღაურება      | 3,706.9         | 4,134.1         | 4,107.0         | 3,892.8              | 214.2              |
| საქონელი და მომსახურება | 3,391.0         | 2,763.3         | 3,087.2         | 2,984.8              | 102.4              |
| პროცენტი                | 486.3           | 377.6           | 294.5           | 294.5                | 0.0                |
| სუბსიდიები              | 15,667.3        | 17,303.5        | 17,280.3        | 17,055.9             | 224.4              |
| გრანტები                | 1,187.2         | 495.2           | 3.8             | 3.8                  | 0.0                |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 3,152.2         | 3,052.4         | 2,389.0         | 2,384.0              | 5.0                |



|  |                 |                 |                 |                 |                 |
|--|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| სხვა ხარჯები                           | 3,580.3         | 4,012.7         | 3,561.1         | 2,299.0         | 1,262.1         |
| <b>საოპერაციო სალდო</b>                | <b>12,530.1</b> | <b>6,556.4</b>  | <b>5,910.7</b>  | <b>740.7</b>    | <b>5,170.0</b>  |
| <b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b> | <b>8,920.6</b>  | <b>9,693.9</b>  | <b>8,510.2</b>  | <b>3,283.3</b>  | <b>5,226.9</b>  |
| ზრდა                                   | 10,159.7        | 10,966.1        | 11,010.2        | 5,783.3         | 5,226.9         |
| კლება                                  | 1,239.1         | 1,272.2         | 2,500.0         | 2,500.0         | 0.0             |
| <b>მთლიანი სალდო</b>                   | <b>3,609.5</b>  | <b>-3,137.5</b> | <b>-2,599.5</b> | <b>-2,542.6</b> | <b>-56.9</b>    |
| <b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>    | <b>2,532.3</b>  | <b>-4,259.1</b> | <b>-4,941.6</b> | <b>-3,837.2</b> | <b>-1,104.4</b> |
| ზრდა                                   | 9,348.4         | 5,084.6         | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| ვალუტა და დეპოზიტები                   | 9,348.4         | 5,084.6         | 0.0             |                 |                 |
| კლება                                  | 6,816.1         | 9,343.7         | 4,941.6         | 3,837.2         | 1,104.4         |
| ვალუტა და დეპოზიტები                   | 6,816.1         | 9,343.7         | 4,941.6         | 3,837.2         | 1,104.4         |
| <b>ვალდებულებების ცვლილება</b>         | <b>-1,077.1</b> | <b>-1,121.6</b> | <b>-2,342.1</b> | <b>-1,294.6</b> | <b>-1,047.5</b> |
| კლება                                  | 1,077.1         | 1,121.6         | 2,342.1         | 1,294.6         | 1,047.5         |
| საშინაო                                | 1,077.1         | 1,121.6         | 2,342.1         | 1,294.6         | 1,047.5         |
| <b>ბალანსი</b>                         | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>      |

**მუხლი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**  
განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება                   | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |                      |                    |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------------|--------------------|
|                              |                 |                 | სულ             | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| <b>შემოსულობები</b>          | <b>44,940.3</b> | <b>39,967.3</b> | <b>39,133.5</b> | <b>32,155.5</b>      | <b>6,978.0</b>     |
| შემოსავლები                  | 43,701.2        | 38,695.1        | 36,633.5        | 29,655.5             | 6,978.0            |
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,239.1         | 1,272.2         | 2,500.0         | 2,500.0              | 0.0                |
| <b>გადასახდელები</b>         | <b>42,408.0</b> | <b>44,226.4</b> | <b>44,075.0</b> | <b>35,992.6</b>      | <b>8,082.4</b>     |
| ხარჯები                      | 31,171.1        | 32,138.7        | 30,722.8        | 28,914.8             | 1,808.1            |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  | 10,159.7        | 10,966.1        | 11,010.2        | 5,783.3              | 5,226.9            |
| ვალდებულებების კლება         | 1,077.1         | 1,121.6         | 2,342.1         | 1,294.6              | 1,047.5            |
| <b>ნაშთის ცვლილება</b>       | <b>2,532.3</b>  | <b>-4,259.1</b> | <b>-4,941.6</b> | <b>-3,837.2</b>      | <b>-1,104.4</b>    |

**მუხლი 3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**  
განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 36,633.5 ათასი ლარის



ოდენობით:

| დასახელება       | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |                      |                    |
|------------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------------|--------------------|
|                  |                 |                 | სულ             | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემოსავლები      | 43,701.2        | 38,695.1        | 36,633.5        | 29,655.5             | 6,978.0            |
| გადასახადები     | 14,854.4        | 14,451.4        | 13,900.0        | 13,900.0             | 0.0                |
| გრანტები         | 24,003.0        | 19,373.6        | 18,308.5        | 11,330.5             | 6,978.0            |
| სხვა შემოსავლები | 4,843.8         | 4,870.1         | 4,425.0         | 4,425.0              | 0.0                |

**მუხლი 4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 13,900.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება                                    | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
| გადასახადები                                  | 14,854.4        | 14,451.4        | 13,900.0        |
| საშემოსავლო გადასახადი                        | 0.0             | 3,191.1         | 3,700.0         |
| ქონების გადასახადი                            | 14,855.4        | 11,260.3        | 10,200.0        |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 10,167.5        | 6,345.0         | 7,700.0         |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)      | 4.2             | 25.1            | 0.0             |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         | 123.3           | 122.8           | 50.0            |
| სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე        | 87.3            | 23.5            | 0.0             |
| არასასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე     | 4,460.6         | 4,743.9         | 2,450.0         |
| სხვა გადასახადები ქონებაზე                    | 12.5            | 0.0             | 0.0             |
| სხვა გადასახადები                             | -1.0            | 0.0             | 0.0             |

**მუხლი 5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 18,308.5 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება  | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები  | 24,003.0        | 19,373.6        | 18,308.5        |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები                             | 0.0             | 124.7           | 636.7           |
| სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 24,003.0        | 19,248.9        | 17,671.8        |
| გათანაბრებითი ტრანსფერი   | 16,133.8        | 11,093.8        | 10,693.8        |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად         | 500.0           | 500.0           | 500.0           |
| სპეციალური ტრანსფერი  | 7,369.2         | 7,655.1         | 6,478.0         |



|   |         |         |         |
|---|---------|---------|---------|
| მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები                     | 30.0    | 0.0     | 0.0     |
| მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 7,339.2 | 7,655.1 | 6,478.0 |

**მუხლი 6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 4,425.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება   | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|--|-----------------|-----------------|-----------------|
| <b>სხვა შემოსავლები</b>  | <b>4,843.8</b>  | <b>4,870.1</b>  | <b>4,425.0</b>  |
| შემოსავლები საკუთრებიდან   | 905.1           | 971.2           | 655.0           |
| პროცენტები   | 636.3           | 717.0           | 500.0           |
| დივიდენდები  | 0.0             | 9.8             | 15.0            |
| რენტა  | 268.8           | 244.3           | 140.0           |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის                                | 177.4           | 176.0           | 80.0            |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 91.5            | 68.4            | 60.0            |
| <b>საქონელი და მომსახურების რეალიზაცია</b>                                       | <b>2,493.4</b>  | <b>2,698.4</b>  | <b>2,320.0</b>  |
| <b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>                             | <b>2,435.5</b>  | <b>2,647.6</b>  | <b>2,300.0</b>  |
| სანებართვო მოსაკრებელი   | 99.2            | 59.5            | 100.0           |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი                                   | 0.4             | 0.1             | 0.0             |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი                          | 5.6             | 2.4             | 0.0             |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი  | 1,364.4         | 1,722.3         | 1,300.0         |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                 | 965.8           | 863.4           | 900.0           |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი  | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| <b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>                         | <b>57.9</b>     | <b>50.8</b>     | <b>20.0</b>     |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან   | 57.9            | 50.8            | 20.0            |
| <b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>  | <b>1,090.1</b>  | <b>928.4</b>    | <b>1,100.0</b>  |
| <b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>                            | <b>355.2</b>    | <b>272.2</b>    | <b>350.0</b>    |

**მუხლი 7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 30,722.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |                      |                    |
|------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------------|--------------------|
|            |                 |                 | სულ             | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
|            |                 |                 |                 |                      |                    |



|                         |          |          |          |          |         |
|-------------------------|----------|----------|----------|----------|---------|
| ხარჯები                 | 31,171.1 | 32,138.7 | 30,722.8 | 28,914.8 | 1,808.1 |
| შრომის ანაზღაურება      | 3,706.9  | 4,134.1  | 4,107.0  | 3,892.8  | 214.2   |
| საქონელი და მომსახურება | 3,391.0  | 2,763.3  | 3,087.2  | 2,984.8  | 102.4   |
| პროცენტი                | 486.3    | 377.6    | 294.5    | 294.5    | 0.0     |
| სუბსიდიები              | 15,667.3 | 17,303.5 | 17,280.3 | 17,055.9 | 224.4   |
| გრანტები                | 1,187.2  | 495.2    | 3.8      | 3.8      | 0.0     |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 3,152.2  | 3,052.4  | 2,389.0  | 2,384.0  | 5.0     |
| სხვა ხარჯები            | 3,580.3  | 4,012.7  | 3,561.1  | 2,299.0  | 1,262.1 |

**მუხლი 8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8,510.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11,010.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| კოდი            | დასახელება  | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |                      |                    |
|-----------------|---|-----------------|-----------------|-----------------|----------------------|--------------------|
|                 |   |                 |                 | სულ             | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| 01 00           | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 372.3           | 487.5           | 36.3            | 36.3                 | 0.0                |
| 02 00           | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება           | 25.8            | 2.0             | 28.9            | 18.0                 | 10.9               |
| 03 00           | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია  | 8,060.8         | 8,541.1         | 8,742.7         | 4,648.5              | 4,094.2            |
| 04 00           | საგანმანათლებლო ღონისძიებები                              | 428.2           | 1,011.3         | 1,644.3         | 522.6                | 1,121.7            |
| 05 00           | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი      | 1,265.9         | 920.0           | 558.0           | 558.0                | 0.0                |
| 06 00           | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა  | 6.7             | 4.2             | 0.0             | 0.0                  | 0.0                |
| <b>სულ ჯამი</b> |   | <b>10,159.7</b> | <b>10,966.1</b> | <b>11,010.2</b> | <b>5,783.3</b>       | <b>5,226.9</b>     |

ბ) განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 2,500.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება                   | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,239.1         | 1,272.2         | 2,500.0         |



|                        |         |         |         |
|------------------------|---------|---------|---------|
| მირითადი აქტივები      | 80.8    | 60.2    | 1,200.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 1,158.3 | 1,212.0 | 1,300.0 |
| მიწა                   | 1,158.3 | 1,212.0 | 1,300.0 |

**მუხლი 9. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქც. კოდი | დასახელება   | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |                      |                    |
|-------------|--|-----------------|-----------------|-----------------|----------------------|--------------------|
|             |  |                 |                 | სულ             | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| 701         | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება   | 6,271.5         | 6,822.6         | 6,562.1         | 6,562.1              | 0.0                |
| 7011        | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სამიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 5,530.2         | 5,969.0         | 5,859.7         | 5,859.7              | 0.0                |
| 70111       | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა   | 5,530.2         | 5,969.0         | 5,641.6         | 5,641.6              | 0.0                |
| 70112       | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა  | 0.0             | 0.0             | 218.2           | 218.2                | 0.0                |
| 7013        | საერთო დანიშნულების მომსახურება  | 254.9           | 476.0           | 407.9           | 407.9                | 0.0                |
| 70133       | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება   | 254.9           | 476.0           | 407.9           | 407.9                | 0.0                |
| 7016        | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები  | 486.3           | 377.6           | 294.5           | 294.5                | 0.0                |
| 702         | <b>თავდაცვა</b>  | <b>268.7</b>    | <b>261.1</b>    | <b>347.5</b>    | <b>18.0</b>          | <b>329.5</b>       |
| 7021        | შეიარაღებული ძალები  | 268.7           | 261.1           | 347.5           | 18.0                 | 329.5              |
| 703         | <b>საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>   | <b>1,215.9</b>  | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>      | <b>0.0</b>           | <b>0.0</b>         |
| 7032        | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა  | 1,215.9         | 0.0             | 0.0             | 0.0                  | 0.0                |
| 704         | <b>ეკონომიკური საქმიანობა</b>  | <b>5,785.2</b>  | <b>5,471.3</b>  | <b>8,614.8</b>  | <b>4,520.6</b>       | <b>4,094.2</b>     |
| 7045        | ტრანსპორტი   | 5,737.0         | 5,346.8         | 7,859.4         | 3,765.2              | 4,094.2            |
| 70451       | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები   | 5,737.0         | 5,346.8         | 7,859.4         | 3,765.2              | 4,094.2            |
| 7047        | ეკონომიკის სხვა დარგები  | 48.2            | 124.5           | 755.4           | 755.4                | 0.0                |



|            |  |                |                 |                |                |                |
|------------|--|----------------|-----------------|----------------|----------------|----------------|
| 70474      | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები                            | 48.2           | 124.5           | 755.4          | 755.4          | 0.0            |
| <b>705</b> | <b>გარემოს დაცვა</b>   | <b>4,169.1</b> | <b>2,914.8</b>  | <b>2,660.2</b> | <b>2,660.2</b> | <b>0.0</b>     |
| 7051       | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება                  | 3,378.5        | 2,843.5         | 2,619.5        | 2,619.5        | 0.0            |
| 7052       | ჩამდინარე წყლების მართვა   | 790.6          | 71.3            | 40.7           | 40.7           | 0.0            |
| 7053       | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა                             | 0.0            | 0.0             | 0.0            | 0.0            | 0.0            |
| <b>706</b> | <b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>                                | <b>7,814.5</b> | <b>10,940.4</b> | <b>7,492.5</b> | <b>6,230.5</b> | <b>1,262.1</b> |
| 7061       | ბინათმშენებლობა  | 1,037.3        | 617.6           | 1,665.6        | 403.5          | 1,262.1        |
| 7062       | კომუნალური მეურნეობის განვითარება                                  | 550.9          | 4,436.5         | 852.4          | 852.4          | 0.0            |
| 7064       | გარე განათება  | 1,079.9        | 963.4           | 750.7          | 750.7          | 0.0            |
| 7066       | სხვა არკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში    | 5,146.5        | 4,922.9         | 4,223.8        | 4,223.8        | 0.0            |
| <b>707</b> | <b>ჯანმრთელობის დაცვა</b>  | <b>212.9</b>   | <b>231.3</b>    | <b>237.6</b>   | <b>13.2</b>    | <b>224.4</b>   |
| 7074       | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                               | 212.9          | 231.3           | 237.6          | 13.2           | 224.4          |
| <b>708</b> | <b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>                               | <b>6,394.8</b> | <b>6,999.4</b>  | <b>5,603.9</b> | <b>5,603.9</b> | <b>0.0</b>     |
| 7081       | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                         | 3,184.8        | 3,718.9         | 2,344.6        | 2,344.6        | 0.0            |
| 7082       | მომსახურება კულტურის სფეროში                                       | 2,976.4        | 3,048.0         | 2,948.9        | 2,948.9        | 0.0            |
| 7084       | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა                  | 233.6          | 232.5           | 310.5          | 310.5          | 0.0            |
| <b>709</b> | <b>განათლება</b>   | <b>5,605.8</b> | <b>5,946.8</b>  | <b>7,431.0</b> | <b>6,309.3</b> | <b>1,121.7</b> |
| 7091       | სკოლამდელი აღზრდა  | 5,604.4        | 5,946.8         | 7,431.0        | 6,309.3        | 1,121.7        |
| 7092       | ზოგადი განათლება   | 1.5            | 0.0             | 0.0            | 0.0            | 0.0            |
| 70923      | საშუალო ზოგადი განათლება   | 1.5            | 0.0             | 0.0            | 0.0            | 0.0            |
| <b>710</b> | <b>სოციალური დაცვა</b>   | <b>3,592.4</b> | <b>3,517.1</b>  | <b>2,783.2</b> | <b>2,780.2</b> | <b>3.0</b>     |
| 7101       | ავადმყოფთა დაშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 678.1          | 757.3           | 332.7          | 332.7          | 0.0            |
| 71011      | ავადმყოფთა სოციალური დაცვა   | 599.1          | 652.9           | 177.1          | 177.1          | 0.0            |
| 71012      | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა                              | 79.0           | 104.3           | 155.6          | 155.6          | 0.0            |





|            | სოციალური დაცვა   |                 |                 |                 |                 |                |
|------------|---|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------|
| 7102       | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა                                 | 1,281.1         | 1,042.1         | 1,217.8         | 1,217.8         | 0.0            |
| 7103       | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა                      | 19.1            | 18.6            | 21.1            | 21.1            | 0.0            |
| 7104       | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                      | 214.8           | 213.6           | 220.2           | 220.2           | 0.0            |
| 7109       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 1,399.3         | 1,485.6         | 991.5           | 988.5           | 3.0            |
| <b>სულ</b> |   | <b>41,330.8</b> | <b>43,104.8</b> | <b>41,733.0</b> | <b>34,698.1</b> | <b>7,034.9</b> |

**მუხლი 10. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-2,599.5) ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-4,941.6) ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 4,941.6 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-2,342.1) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გასასტუმრებელი ვალდებულებები შედგენს 2,342.1 ათასი ლარს, კერძოდ:

- ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო – 22.2 ათასი ლარი;
- ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია – 24.3 ათასი ლარი;
- მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხი (გზების რეაბილიტაცია) – 717.3 ათასი ლარი;
- რუსთავის იურიდიული დახმარების ცენტრის ხელშეწყობა – 0.2 ათასი ლარი;
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 1.4 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 1,313.2 ათ. ლარი;
- განათლება – 103.5 ათ. ლარი;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 31.6 ათ. ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 128.7 ათ. ლარი.

**მუხლი 13. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 217.2 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 558.9 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 330.9 ათასი ლარი;





ბ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 225.0 ათასი ლარი;

გ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 3.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადასაწილება.

## თავი II

### ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

#### მუხლი 15. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

##### 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

##### 1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

##### 1.1.1 გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული შიდა გზების, ეზოებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და გზების ორმული დამუშავება, კერძოდ: მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს ეზოების ასფალტ/საფარის რეაბილიტაცია. ასევე რეგიონის განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები.

##### 1.1.2 ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი/სათვალთვალო სისტემების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში აუცილებელ მონაკვეთებზე ე.წ. „მწოლიარე პოლიციელების“ მოწყობა, ქუჩების დახაზვა და საგზაო ნიშნებისა და კამერების მონტაჟი.

##### 1.1.3 საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე საინფორმაციო ტაბლოების მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებულ სატრანსპორტო გაჩერებებზე დამონტაჟებული ტაბლოების რეაბილიტაცია და ახლების მონტაჟი.

##### 1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

##### 1.2.1 საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია; ასევე, დაგეგმილია საზოგადოებრივი აქტივობების ხელშეწყობა, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. პროგრამაში მოსახლეობის



ჩართულობის პრინციპით განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სხვადასხვა კომუნალური პირობების მოწესრიგება.

### **1.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯი, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში სანათი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია.

### **1.2.3 ქალაქის ეკოლოგიური დაცვა (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლებასა და საცხოვრებელი სახლების ეზოებში დაგვა-დასუფთავებას მეზოვეების მეშვეობით. ასევე მოწესრიგდება გამწვანებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

### **1.2.4 ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „უზრუნველყოფის“ პროგრამა, რაშიც გათვალისწინებულია არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, შადრევნების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ასევე ქალაქის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტები, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება თვითმმართველი ქალაქის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით; ასევე ზემოხსენებული ააიპ-ი განხორციელებს ქალაქის გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას.

## **1.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია.

### **1.3.1 სკვერების, ეზოების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების/გაზონების დეკორატიული ღობით მოპირკეთებისა და მოწყობა/რეაბილიტირებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები; ასევე დაგეგმილია ქალაქის მასშტაბით 44 ეზოს კეთილმოწყობა.

### **1.3.2 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქალაქის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და, შესაბამისად, მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება; ასევე დაგეგმილია ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრების სამუშაოები.

### **1.3.3 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 05)**

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა.



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

### **1.3.4 ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)**

პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და ასოციაცია „უკრაინის ენერგო ეფექტურ ქალაქებს“ შორის 2011 წლის 2 მაისს გაფორმებული მერების შეთანხმების ფარგლებში 2020 წლისათვის რუსთავის ტერიტორიაზე CO<sup>2</sup> ემისიის შემცირება, რითაც დაიზოგება შენობიდან სითბოს გადინება და ამავე დროს შემცირდება ელ. ენერჯის მოხმარება.

### **1.4 მუნიციპალური ტრანსპორტის დოტაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

ქალაქში კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

### **1.5 მონაწილეობითი ბიუჯეტების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 05)**

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულ იქნა ევროკომისიის მიერ შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, სადაც თანადაფინანსების პრინციპით პროექტის ღირებულების 90%-ს დააფინანსებს ევროკომისია, ხოლო 10% წილის ასიგნება ეკუთვნის თვითმმართველობას. პროექტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში და ტერიტორიულ ორგანოებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე მოქალაქეთა მეტი ჩართულობის მიზნით მათი ინფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის პრიორიტეტების შედგენისას გამჭვირვალების გაზრდას და მათი მოსაზრებების ასახვას ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში.

## **2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

### **2.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)**

პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6 100 ბავშვი. საბავშვო ბაღებში რეაბილიტაციის ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფების გახსნა, რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება. ასევე, დაგეგმილია საბავშვო ბაღების რემონტი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

### **2.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 02)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გაივლის 200-მდე ბენეფიციარი.

## **3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

### **3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის და კლუბის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

### **3.1.1 სასპორტო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300-ზე მეტ სპორტსმენს; ცენტრი მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

### **3.1.2 სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამა მოიცავს საფეხბურთო (შპს „რუსთავის რუსთავი“), საკალათბურთო (შპს „რუსთავი 1991“) და რაგბის (ააიპ „რუსთავის ხარები“) კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას.

### **3.1.3 სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო გასართობი ატრაქციონების საბავშვო მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია და ასევე განხორციელდება ქალაქში არსებული სპორტული კომპლექსების რეაბილიტაცია და მოედნების მოწყობა/რეაბილიტირება.

## **3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

### **3.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ბენეფიციართა სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ნივთებითა და ტკბილეულით დასაჩუქრება.

### **3.2.2 სახელოვნებო სკოლები (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“, რომელიც აერთიანებს კულტურის ცენტრში არსებულ ადგილობრივ ანსამბლებს, 3 მუსიკალურ, 1 ხელოვნებისა და 1 სამხატვრო სკოლას, სადაც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე; ასევე ზემოხსენებული ა(ა)იპ-ი უზრუნველყოფს სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობას. აღნიშნული ა(ა)იპ-ის უმთავრესი მიზანია ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

### **3.2.3 კულტურის სახლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „გ. ლორთქიფანიძის სახ. რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ყველა თაობის ნიჭიერ შემოქმედთა ხელშეწყობა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, ტრადიციების აღორძინება; გაამძაფროს საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი და მოიზიდოს ყველა თაობის მაყურებელი.

### **3.2.3 მუზეუმის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04)**

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“ დაფინანსებას, რომელიც სისტემატურად მოიპოვებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამიანთა და მათი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ მასალას; შეისწავლის მათ, განათლების, საზოგადოებისათვის ცოდნის გაცემის და ესთეტიკური სიამოვნების მინიჭების მიზნით; მუზეუმი აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პატრიოტული სულისკვეთებით.



### 3.2.5 ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 4 ბიბლიოთეკას, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

### 3.2.6 კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რუსთავში არსებული კულტურული ობიექტების, მათ შორის კულტურის ცენტრის შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები და მუზეუმის გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

### 3.3 ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

### 3.4 რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური კონფესიების დაფინანსება, მათი ან რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მომართვის (თანხმობის) საფუძველზე.

## 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებითა და შეღავათით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

### 4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ქალაქში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელოფის ღონისძიებები.

### 4.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)



პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

#### **4.2.1 მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000-მდე ქულის მქონე) მოსახლეობისა და შშმ პირების 1 700 ბენეფიციარის ერთჯერადი ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

#### **4.2.2 სარიტუალო მომსახურებები (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ომში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში); დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით; ქ. რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით.

#### **4.2.3 შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0-დან 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე საციალურად დაუცველი ოჯახების სასმელი წყლის გადასახადისაგან გათავისუფლება (ბენეფიციართა რაოდენობა ცვალებადია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით).

#### **4.2.4 შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე (პროგრამული კოდი 06 02 04)**

